ოქმი:**ო12. 3726307001**

თარიღი:**03/11/2026**

ოქმი N 17

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2026 წელი 28 ოქტომბერი

ქ.ოზურგეთი

12:00 – 13:00 საათი

თავმჯდომარეობდა: ნათია გოლიაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: დ. ხურციძე, ვლ. ხავთასი, გ. სირაძე, ნ. ნადირაშვილი, გ. ჩავლეშვილი, ე. წუწუნავა, თ. ქავთარია, მ. ცქვიტინიზე, ზ. სალუქვაძე,

სხდომის თავმჯდომარემ, ნ.გოლიაძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის პროექტში ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მიმართულებით ახალი პროგრამების გათვალისწინების მიზნით მუნიციპალიტეტის მერიისათვის რეკომენდაციის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ნ.გოლიაძე

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ნ. გოლიაძემ კომისიის წევრებს მოკლედ გაცნო რამდენიმე პროგრამა, კერძოდ: 1) ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე პაციენტებისთვის ფსიქო/რეაბილიტაციის პროგრამა; 2)იშვიათი დაავადებების (მემკვიდრეობითი ანგისდემა და სხვა.) სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება; 3) 0-18 წლამდე შაქრიანი დიაბეტის დიაგნოზის მქონე ბავშვების დახმარების პროგრამა; 4) 18 წელს ზემოთ შ.შ.მპირების დახმარების პროგრამა (ჰიგიენური საფენების, პამპერსების შეძენა); 5)ძვირადღირებული მედიკამენტების დაფინანსების პროგრამა წლის განმავლობაში არაუმეტეს 5000 ლარისა.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს, ზემოთაღნიშნული წინადადებების მუნიციპალიტეტის მერიისთვის წარდგენა მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის პროექტში მათი გათვალსწინების მიზნით.

გადაწყვიტეს:

მიზანშეწონილად იქნეს მიიჩნეული ზემოთაღნიშნული წინადადებების მუნიციპალიტეტის მერიისთვის წარდგენა მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის პროექტში მათი გათვალსწინების მიზნით.

ნათია გოლიაძე

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი